ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	იურიდიული ფსიქოლოგია Legal Psychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი MA in Psychology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. 120 ECTS განაწილებულია 2 აკადემიურ წელსა (თითო 60 ECTS) და 4 სემესტრზე (თითო 30 ECTS), სადაც: სავალდებულო კურსები შეადგენს 55 ECTS კრედიტს: სამაგისტრო ნაშრომი- 30 კრედიტი და არჩევითი კურსები- 35 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფესორი ვახტანგ ნადარეიშვილი Vakhtang.nadareishvili@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. 1. საერთო სამაგისტრო გამოცდა; 2. გამოცდა ფსიქოლოგიაში; 3. 1) ა) გასაუბრება ფსიქოლოგიაში და ბ) გასაუბრება ინგლისურ ენაში (გასაუბრებისას თარგმნილი ინგლისურენოვანი ტექსტის (ფსიქოლოგია) საფუძველზე. აპლიკანტს შეუძლია თან იქონიოს ბეჭდური ლექსიკონი), ***ან*** 2) ა) გასაუბრება ფსიქოლოგიაში და ბ) ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი . პროგრამა განკუთვნილია: ა) ფსიქოლოგიის; ბ) სამართლის; გ) სოციოლოგიის; დ) სოციალური მუშაობის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირებისთვის. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	იურიდიული ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს მაგისტრანტებს: • ფსიქოლოგიისა და სამართლის მეცნიერებათა თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ–გამოყენებითი ცოდნა და მოამზადოს ინტერდისციპლინური პროფილის სპეციალისტები სამეცნიერო - კვლევითი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრაქტიკის სხვადასხვა სფეროსთვის. • ნორმატიული თუ დევიაციური ქცევის აღწერის, ახსნის, პროგნოზირებისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის წარმართვის უნარები. • მოცემულ სფეროში ცოდნა, რომლებიც საჭიროა ფსიქოლოგიისა და სამართლის მულტიდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტისას ორიგინალური მიდგომის შემუშავებისა და შესაბამისი კვლევის ჩატარებისთის, რისთვისაც გამოყენებული იქნება მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები. • უფლებადაცვით, სასამართლო, საგამოძიებო, საადვოკატო, რეაბილიტაციურ და საექსპერტო საქმიანობაში მონაწილეობისათვის საჭირო კვალიფიკაცია; • კანონშემოქმედებითი და სამართლის ეფექტურობის ამაღლებაზე მიმართული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ–ჩვევები; • დანაშაულის პრევენციასთან, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასთან და რეადაპტაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისთვის საჭირო ცოდნა;
სწავლის შედეგები:	**კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდგომ:**
ცოდნა და გაცნობიერება	1. მაგისტრი კრიტიკულად აანალიზებს სამართლის ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს, კონცეფციებსა და უახლეს მიღწევებს, მათ შორის სოციალური ნორმებისა და სამართლებრივი კატეგორიების ფსიქოლოგიურ ასპექტებს. 2. სიღრმისეულად განიხილავს სოციალური სუბიექტების ქცევის თავისებურებებს ფორმალური და არაფორმალური ნორმატიული სისტემებით რეგულირებულ გარემოში. 3. ახდენს სამართლის ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციისა და მონათესავე სფეროების მულტიდისციპლინური მიდგომების ინტერპრეტაციას და აფასებს მათ მნიშვნელობას სოციალური სისტემების სტაბილურობისა და განვითარების კონტექსტში.

უნარები	4. სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის ინტეგრირება სამართლის ფსიქოლოგიის პრობლემების ანალიზისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. 5. მას შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება. 6. სტუდენტს შეუძლია თანამედროვე კვლევითი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება აკადემიური ლიტერატურის მოძიების, დამუშავებისა და შედეგების პრეზენტაციის პროცესში.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. სტუდენტს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა და დროის ეფექტურად მართვა. 8. იგი იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს კვლევით და კოლექტიურ საქმიანობაში. 9. სტუდენტი იღებს პასუხისმგებლობას შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და შედეგებზე, მათ შორის ობიექტური შეფასებისა და თვითშეფასების განხორციელებაზე.
სწავლა/სწავლების მეთოდები	1. ლექცია; 2. სამუშაო ჯგუფი; 3. პრაქტიკული მეცადინეობა; 4. დისკუსია/დებატები, 5. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, 6. ჯგუფური (collaborative) მუშაობა, 7. დემონსტრირება, 8. ახსნა-განმარტება, 9. შემთხვევების ანალიზი (Case study), 10. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასების წესი	ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება: ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: ბ. ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

	ბ. ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. *შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.* **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები** სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულით, აქედან: 1. რეცენზენტის შეფასება – 50 ქულა; 2. ხელმძღვანელის შეფასება – 20 ქულა; 3. პრეზენტაციის შეფასება – 30 ქულა; **სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:** 1. საპრეზენტაციო ტექსტის სტრუქტურა - 7 ქულა; 2. მოსაზრებათა არგუმენტირებულად გადმოცემა -10 ქულა; 3. კვლევის მიზნებისა და შედეგების/დასკვნების შესაბამისობა - 8 ქულა; 4. რეგლამენტირებულობა (12-15 წთ), ენობრივი გამართულობა -5 ქულა.
დასაქმების სფეროები	მაგისტრანტს შეუძლია იმუშაოს: 1. შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების სამინისტროების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სპეციალური პენიტენციარული სამსახურის, პროკურატურის, სასამართლო სისტემის, სახალხო დამცველის აპარატის შესაბამის დეპარტამენტებსა და ცენტრებში; 2. კერძო იურიდიულ კომპანიებში. 3. უფლებადაცვითი, სარეაბილიტაციო, ძალოვანი და სამართალდამცავი უწყებების თემატიკაზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებში;

	4. აკადემიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლის დაფინანსების საკითხი და წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. აღნიშნული დაფინანსება ეხება 2026- 2027 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ აბიტურიენტებს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის ადამიანური რესურსი:** პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები და პრაქტიკოსები. ***იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.*** **პროგრამის მატერიალური რესურსი:** • პროგრამა ხორციელდება თსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსში. ○ საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ; ○ აუდიტორიების საერთო რაოდენობა -24 ერთეული. ○ კომპიუტერული რესურსცენტრი (ოთახი 206) 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ○ ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ○ ლაბორატორია 2 - 20 ერთეული კომპიუტერი; ○ აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. • თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა; სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით; 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, და შესაბამისად პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - "Web of Science (WoS) 10 ". "Web of Science" პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან www.webofscience.com "Web of Science" პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. • აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; განახლებულია ინფრაქტრუქტურა;

	• კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსონალისათვის. **<u>პროგრამის ფინანსური რესურსი:</u>** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	პროგრამას შეუძლია მოემსახუროს 10 სტუდენტს.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ფსიქოლოგიის დეპარტამენტი**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **იურიდიული ფსიქოლოგია**

სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ვახტანგ ნადარეიშვილი, პროფესორი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)								
55 სავალდ (11 საგანი) +35 არჩევითი (7 საგანი) + 30 სამაგისტრო ნაშრომი								
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
						შემოდგომა	გაზაფხ	

			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი					
სავალდებულო კურსები: 55 კრედიტი									
1.	სამართლის ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		✓	ვ.ნადარეიშვილი
2.	კრიმინოლოგიური ფსიქოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ვ. ნადარეიშვილი
3.	სოციალური თეორიები: კლასიკური და თანამედროვე მიდგომები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	ა. ბერძენიშვილი
4.	სტატისტიკური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში საფაკულტეტო	**5**	**30**	**30**	**65**	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქ. მანჯგალაძე
5.	განწყობის თეორია თანამედროვე მეცნიერების კონტექსტში	5	30	30	65	წინაპირობის გარეშე	✓		ვ.ნადარეიშვილი

6.	მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	მ.მელიქიშვილი
7.	საგამოძიებო საქმიანობის ფსიქოლოგიური ასპექტები	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		თ. ბანძელაზე
8.	დიფერენციალური ფსიქოლოგია	**5**	**15**	**30**	**80**	წინაპირობის გარეშე	✓		ხ. მარწყვიშვილი
9.	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. სურმანიძე
10.	სოციალური ფსიქოლოგია	**5**	**15**	**30**	**80**	წინაპირობის გარეშე	✓		ე. მაღლაკელიძე
11.	სამართლის თეორია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ჯანაშვილი
არჩევითი კურსები: 35 კრედიტი									
1.	ჯგუფთაშორისი კონფლიქტები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		მ. დესპოტაშვილი

2.	ფსიქომეტრია	**5**	**15**	**30**	**80**	წინაპირობის გარეშე		✓	**ი. კუტალაძე**
3.	პიროვნების ფსიქოლოგია: თეორია და კვლევა	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი. ჟვანია
4.	რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS საშუალებით საფაკულტეტო?	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓		**ე.მაღლაკელიძე**
5.	სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ვ.ნადარეიშვილი
6.	კულტურათა ტიპოლოგია: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	**ლ. სურმანიძე**
7.	ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		თ. ბანძელაძე
8.	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გიორგი ჭუმბურიძე

9.	ემოცია და კულტურა	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე		✓	თ. აბაშიძე
10.	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიაა	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ლ. სურმანიძე
11.	ძალადობის ანთროპოლოგია	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. ხუციშვილი
12.	პიროვნების ფსიქოლოგიური შეფასება პენიტენციარულ სისტემაში	5	15	30	80	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. არუთინოვი
13.	სოციალური სამართლიანობის თეორიები	5				წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. ფარსადანიშვილი
14.	სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირითადი ინსტიტუტები	5	30		95	წინაპირობის გარეშე		✓	მ. შალიკაშვილი
15.	კრიმინოლოგია	5	30		95	წინაპირობის გარეშე	✓		მ. შალიკაშვილი

16.	**სუბკულტურა – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები**	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ლ.წულაძე
17.	**ფსიქიატრიის საფუძვლები**	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ა. ბეგიაშვილი ნ. ბადრიშვილი
18.	**ძირითადი ფსიქოლოგიური მიმდინარეობები და განწყობის თეორია: შედარებითი ანალიზი.**	5	15	15	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი. იმედაძე
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**						**4**	